№ 33 — 1917 | ფასი 25. კ. | წლიწადი მეხუთე გამოცემისა
კვირა მარიამობის 20

ანასტასია მაჩაბლისა

ანასტასია მაჩაბლის ხსოვნას

არ მომკვდარა, სძინავს ტკბილად
შრომისაგან დაღალულსა,
მოსვენება ენატრება
დასუსტებულ იმის გულსა.

ვაი იმას, ვინც სამშობლოს
მოშორდება საუკუნოდ,
მის არსებას არვინ სცნობს,
აქვე მკვდარსა უსახელოდ.

შენ კი ტურფავ სახით, საქმით
სულით, გულით მშვენიერსა,
სამშობლო არ დაგივიწყებს,
ეწამები ჩვენსა ერსა!

ნინო ორბელიანი.

რედაქციისგან მკითხველთა მიმართ

მშრომელთა ხელფასის აწევამა და სხვა მასალის გაძვირებამ უზომო ხარჯები მოგვთხოვა, ხელის მომწერთ კი ჩვენ ფასს ვერ მოვუმატებთ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების» ფონდის გასაძლიერებლად საჭიროა ნივთიერი დახმარება. ხელი მოგვიმართეთ, ვისაც ამ ჟურნალის არსებობა საჭიროდ მიგაჩნიათ. ყოველგვარი შემოწირულება დიდის მადლობით მიიღება რედაქციაში (ბაზრის ქ. № 20), ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე, ფოსტით Ред. „Театри да Цховреба“.

მარიამობისთვის 13

დემოკრატია და კულტურა

საქალაქო არჩევნებზე დემოკრატიამ გაიმარჯვა. ჩვენს დედა ქალაქს თბილისს ძლივს დავეპატრონეთ,—დემოკრატიის გამარჯვება ხოსამართლიანობის გამარჯვებას ნიშნავს და თუმ სამართლიანობა გაიმარჯვებს—გაიმარჯვებს ქართველი ხალხიც.

ვინ იყო დღემდე ქალაქის ვითომ და მზრუნველი?

ბიუროკრატია და პლუტოკრატია, ანუ მთავრობის მოხელეობა და მდიდართ რწმუნებულნი

დღეს?

დღეს ქალაქის ხმოსანთა დიდი უმეტესობა არა თუ დემოკრატები—სოციალისტები არიან.

ესე იგი ისინი, რომელთაც მიზნად ღარიბ-ღატაკ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა დაუსახავთ.

დღეს ბურთი და მოედანი მათია.

მართალია, ძლიერ მძიმე პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, მაგრამ თვისი პროგრამის ნაათალი მაინც რომ აღასრულონ, ე. ი. ხალხს იმის მეათედი მაინც რომ აღუსრულონ, რაც შეპირდენ,—ესეც დიდი ბედნიერება იქნება.

რა აკლია ქალაქის ღარიბ-ღატაკ ხალხს, განსაკუთრებით განაპირა უბნებში მცხოვრებთ?

ძლიერ ბევრი რამ: წყალი, პური, გზები, სინათლე, ექიმი, აბანო და, ვინ მოსთვლის?

ალბად ყველა ეს გათვალისწინებული ექნება თითოეულ პარტიის წარმომადგენელსა და ყოველი ღონისძიებით ეცდება ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენი მიზანია ქალაქის ახალ მამათა ყურადღება მივაქციოთ განაპირა უბნელების კულტურულ მოთხოვნილებას.

იქნება არც ერთ ქალაქში არ შეგხვდეთ იმდენი ცხოვრების გერი, იმდენი ღვთის ანაბრობაზე მიგდებული (სწავლა-განათლებისა და განვითარების მხრივ), რამდენიც ჩვენს დედა ქალაქში.

მერე ვინ არიან ესენი?

უმთავრესად ქართველი ხალხი, ანუ გაქართველებული სომხობა, ებრაელობა თათრობა და საზოგადოდ სხვა და სხვა მილეთის მდაბიო წოდება.

რევოლიუციამ ყველანი გაგვათანაბრა უფლებრივად, მაგრამ თუ ამ უფლების ძალა არ გვეცოდინება—როგორ მოვიხმაროთ?

ასეთი განაპირა უბნები ისეთ სიბნელესა და სიბინძურეში არიან ჩაფლულნი, რომ რა უფლებაც უნდა მიანიჭო, თუ ცოდნაც არ ახლავს, ვერაფერი მოქალაქენი იქნებიან...

ქალაქის მამათა მხრით სწორედ ამ უბნებს ეპირვება ფხიზელი ყურადღება.

ამ უბნებს ჩვეულებრივ პირველ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგანთა გარდა, დღემდე არ მოეპოებათ რიგიანი სკოლები, წიგნთსაცავ-საკითხველოები, სახალხო კითხვათა აუდიტორიები, თეატრები და სხ.

ქალაქის საშუალო კულტურა (მაღალს ვიდა ჩივის) და განაპირა უბნები ერთმანეთს ისე დაშორებიან, როგორც ცა დედამიწას.

განაპირა უბნების ასეთმა ჩამორჩენილობამ განსაკუთრებული გადამგვარებელი და გადაგვარებული ტიპიც-კი შექმნა, რომელიც თვისის მხრით მეტად ცუდს გავლენას სტოვებს ქალაქის ახლო-მახლო სოფელთა კულტურულ ზრდაზედ...

აი, სწორედ ამ უბნებს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

არა ერთხელ უთქვამთ მდაბიო ხალხზე: არა შეჯდა მწყერი ხესა—არა იყო გვარი მისიო!

დღეს ამ ხალხის რჩეული შვილები—დემოკრატია შეჯდა ხეს და მაშ მანვე უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ღირსეული რჩეულია თავისი ამომრჩეველისა და კულტურულად აღამაღლოს ქალაქის განაპირა უბნები. ამას კი მათი ნივთიერი ამაღლებაც მოჰყვება.

„აქეთ-იქით გამარჯობა"

(გაგრძელება. იხ. № 32)

V

ლაზარეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სასოფლოზედ ილაპარაკებდნენ მის ან მიხაკას შესახებ და არც რაიმე ყურადღებას მიაქცევდა ნალაპარაკევს, თუნდაც რომ გაეგონა. მას დასახული ჰქონდა სულ სხვა მიზანი, რომლის კვალსაც მედგრად შეუდგა და მიაღწია კიდეც.

გაუარა ლაზარემ წინ მიხაკას ეზოს ერთხელ, არავინ ჩანდა ეზოში; გამოუარა მეორედ, კიდევ ვერავინ დაინახა. მესამედ რომ გაუარა—აკი გამოჰყო ამ დროს შინიდგან თავი მიხაკამ და ლაზარემაც მიაძახა: „გამარჯობა შენი მიხაკ!"

— აი, გაგიმარჯოს ჩემო ლაზარე!... ცოტა ხანს შედექ, ლაზარე, სათქმელი რამე მაქვს შენთან!..

— მიბძანე შენი ჭირიმე!...

— რა 'კაი კაცი ხარ ლაზარე!.. განა შენზედ კეთილი კაცი მოიპოვება-ღა სადმე ქვეყნიერობაზედ? შენ კაცი კი არა, ანგელოზი ხარ! არა უფრო მეტიც.—შენ ღვთის ნათლული ხარ!.. მე ასე მეგონა ჩასაქვავებლად არ დამინდობდი, არამც თუ „გამარჯობა" გამეგონა შენგან. ეს ფიქრი კი ძრიელ მიჩაგრავდა გულს. მეტად დაჩაგრულადა ვგრძნობდი თავს იმ წუთამდე, სანამ შენ „გამარჯობას" დამიძახებდი. და სიმართლეს გეუბნები, ჩემო თვალის ჩინო, დიდად დაჩაგრული ვიქნებოდი შენგნით, და სამართლიანობაცა და ცოდო მადლიანობაც გათელილი და შელახული იქნებოდა მაშინ სამუდამოდ, თუ შენ ჩემთვის „გამარჯობა" აღარ გეთქვა. ოჰ, რა დაჩაგრული ვიქნებოდი მაშინ ლაზარე ჩემო!

— აბა, რასა ბძანებ მიხაკ? აი, ღმერთმა კი დაჩაგროს შენი დამჩაგვრელი! განა რა დაგიშავებია ჩემთვის, რო გამარჯობა არ მეთქვა შენთვის? აი მამული რო ჩამამართვი? შე კაი ადამიანო, განა ერთი და ორი თავი გამოუხრავ მამულს? მამულის გულისათვის კაცმა კაცი უნდა მაიმდუროს და ისიც მეზობელი!

— ჰეშმარიტებას ამობ ჩემო ლაზარე! განა თუ დიდ რამედ მიღირს შენეული ვენახი—სულ შვიდი-რვა თუმნის საქმეა, მაგრამ საქმე მაგაში ხომ არ არის. შენ, როგორც ჭკვიანსა და „მართებულ" კაცს, გეუბნები, თორემ სხვას არ ვეტყოდი, რადგანაც მარტო შენ გაიგებ ჩემ ნათქვამს. წარმოიდგინე, ჩემო კარგო ლაზარე და ძვირფასო ნათლიმამ, რომ შენ, მაგ საწყალ კაცს საკუთარი ვენახი გქონდა. მე კი დღეს კაცად ვითქმი, ოჯახი, ღვთით, ყოველი ფრით სავსე მაქვს და დღემდის მე, ამ ქონების პატრონს, საკუთარი ვენახი არა მქონდა! განა ცოდო არ ვიყავი? აბა, სადაური სამართალი და ცოდო-მადლიანობა იყო ეს? აი ესა მწყინდა და მაჯავრებდა, თორემ განა ბევრ რასმე წარმოადგენს ჩემთვის შენეული ვენახი.

— ვაი შენ ჩემო თავო, განა ემაგრე იყო საქმე? რატო აქამდის არ გამაგებინე, შე დალოცვილის შვილო, თუ ეგრე გულ ნაკლულად იყავ? მაშ ლაზარე მოკედეს და ფეხს ნუღა დაადგამს მიწაზედ, თუ ყველას თავი არ შესწიროს და მტლედ არ დაედოს, და შენი გულისათვის ხომ სულსაც არ დავზოგავ.

დარწმუნებული ვარ, ჩემო ლაზარე, რომ ყველაფერს ჩაიდენ ჩემი გულისთვის. ხუმრობა ხომ არ არის—ერთი ურემი მიროანი შემოვიტანია მე შენს ოჯახში! განა მირვნის მადლი ტყუილ-უბრალოდ ჩაივლიდა ისე, რომ ჩემ ერთგულ მოკეთედ არ გადაექცე?

— რა საჭიროა კვეხნა ნათლია ჩემო!

ისეთი სულელი და თავზედ ხელ აღებული კაცი ხომ აბა სად მოიპოვება ქვეყანაზედ, რომ თვითონ შიმშილით გული მისდიოდეს, წინ ჯამით კერძი ედგას და მშიერივე საყვარელი ცოლშვილიც გარშემო ესხდეს, ამოიღოს ჯამიდამ პირველი ლუკმა და თვითონ კი არ შეჭამოს—ცოლს ან შვილს ჩაუდოს პირში. ხომ არსად მოიპოვება ასეთი კაცი, განა? მაგრას მენდე, ნათლიაჩემო, დაენდე ღმერთსაცა და ნათელ-მირონობასაც, რომ მე ამას წრფელის გულით ვამბობ: მე რომ ვიყო იმ მშიერი კაცის ალაგას და შემეგესწრო იმ დროს შენ, თუნდაც სრულიად მაძღარი, არამც თუ პირველ ლუკმას,—მთელ კერძს შენ გადმოგიდგამდი. შენთვის პირში ლუკმას გავიქრობ!

— მაშ რათ მიყვარხარ ნათლიმამ ან რათ გარჩევ ყველა ჩემ მეზობლებში და ვაფასებ ასე ძვირად შენს მეზობლობას, თუ არ ვიყო დარწმუნებული შენს კეთილკაცობაში? ახ, რატომ დანარჩენი ჩემი მეზობლებიც არა გგვანან შენ!

— რა ვიცი, ზოგი ერთი კაცი რა ეშმაკის ცხენზედ შეჯდება ხოლმე!

— ოჰ, აი ეგ ნამდვილი სიტყვა იყო! სწორედ და ეშმაკის ცხენებზედ სხედან ყველანი შენს გარდა. თორემ ასე რომ არ იყოს, როგორი კეთილმეზობლური განწყობილება იქნებოდა მაშინ მთელ სოფელში? ღვთის მოსაწონი ცხოვრება იქნებოდა!

— ჰო, და აბა რათ შეგეპარა ეჭვი, რომ მე გამარჯობას აღარ გეტყოდი? თქვა ესა ლაზარემ და ყელი მოიღერა.—ჩემ ძმას რომ არ ვეუბნევი გამარჯობას, მე ამისი საბუთიც მაქვს, შენ კი აბა რა დაგიშავებია ჩემთვის?

— რას ამბობ ლაზარე, განა მე არ ვიცი, როგორც არი საქმე-რა? სად ძმა და სად კეთილი მეზობელი! რაც შენმა ძმამ საქმე დაგმართა და იმდენი ზარალი მოგაყენა: უსამართლოდ შენი საკუთარი ვეებერთელა მამული მიითვისა—რომელი მეზობელი გიზავდა ამას? არა, ძმა რო კარგი იყოს, ღმერთს არ ეყოლებოდა? აბა, რა შედარებაა ძმასა და მეზობელ შორის?

— ოჰ, ეგ რა კარგი მასწავლე ნათლია ემო! ის ძუძუძაღლი დედაკაცი რო გადაფაფრულა ემ პირშავ ძმაზედ, ერთი ენა ჩავაგდებინო მუცელში! ის რძეძაღლი ისა, იმას ჩამჩიჩინებს და გაიძახის, რო ძმა უნდა გერჩივნოს მეზობელსაო. უნდა უთუოდ შერიგდეო. კლდეზედ გადასაჩეხი და ჩამოსახრჩობი არ უნდა გავხდე, რომ ჩემ ძმას „გამარჯობა“ ვუთხრა!

— აი ყოჩაღ და ბაშხადოლემ ლაზარეჯან! კაცი კაცური უნდა იყოს—მაშ! აი ეგ მიყვარს შენი!

— აი ეჭამდის მოვყევარ სისხლზედ იმ ძუძუ ძაღლ დედაკაცს!

— შენც რას აჰყოლიხარ და ყურს უგდებ შენ დედაკაცს! დედაკაცს რომ ჭკვა ქონდეს, გძელი თმა აღარ ექნებოდა. შენ გული დაიმშვიდე. მაშ მე მიხაკა აღარ ვიქნები, თუ როგორც შენა ხარ კეთილი, ისე მეც კეთილი მეზობლობა არ გაგიწევო.

VI.

თუ ლაზარე აჰყვებოდა თავის გულს და იხტუნებდა და ითამაშებდა ისევე, როგორც გული უხტოდა და უთამაშებდა სიამოვნებით, მაშინ იგი ყველას გიჟი ეგონებოდა. მაგრამ ლაზარე გიჟი არ იყო. თავისი კაი კაცობითა და „მართებულობით“ მოიმკო ის კეთილი ნაყოფი, რისთვისაც იგი იღვწოდა და კიდეც სტკბებოდა ახლა ამ კეთილი ნაყოფით „რა კაი ხარ ლაზარე“, ღვთის ნათლული ხარ“—ეს სიტყვები მიხაკასი ყურებში უჟუჟუნებდნენ და უზენაესს ნეტარებასა გვრიდნენ: მას და იმოდენად ძლიერი და უზომო იყო ეს ნეტარება ლაზარესთვის, რომ მისი გული ველარ იტევდა მთლიანად ისე, რომ გარედაც არ გამოეყვენა და არ გაეცისკროვნებინა მისი პირის სახეც.

ლაზარეს ეს გაბრწყინვალებულმა სხეამ იმედის სხივებით ჩაანათა და ააძგერა გული მისი ცოლისაც, რომელიც აკანკალებულის ხმით შეეკითხა:

— ნახე ის წანწალ-ამოწყვეტილი?

— ვნახე, მარა! მაშ უნახავს გაუშვებდი?

— რა გითხრა? იმედი არი რისამე?... მოლბობია გული, იმ ჩემი ცოდვითა და ჩემი შვილების ცოდვით სავსეს, თუ არა?

— რას ამბობ, დედაკაცო, რამ გაგაგიჟა? რის იმედი ან რის გულის მოლბობა? მე კაცს გამარჯობა ვუთხარი და წამოვედი!

— კაცო და მარტო „გამარჯობისათვის“ გაიქეცი?

— მარტო, „გამარჯობისათვის“. რათა! მითხრა: „რა კაი კაცი ხარ ლაზარე“ ო, „ღვთის ნათლული ხარ“ ო, და ეს რად მიღირს მე!

— ეღიღლიპინა გოგო-ბიჭებს შეგიმოსავ თავით ფეხამდე, რაკი შენთვის „ღვთის ნათლული“ დაურქმევია.

— რატომაც არ შემომოსავს! „მაშ მე მიხაკა ადარ ვიქნები, თუ როგორც შენა ხარ კეთილი, მეც ისე კეთილი მეზობლობა არ გაი გიწევოვო.“ აი რა, მითხრა კაცმა! და შენ კჩ დამდ გომახარ ასეო!

— ყურში უჩურჩულე, დიახ! რაც შენ იმისი კეთილი მეზობლობიდამ მიიდო, მე წილს ნული დამიდებ.

— დედაკაცო, შე რძე-ძაღლო, შენა გგონია, მე შენ სიტყვას დავიჯერებ და იმისას კი არა! შენ ე ხმა ჩაიწყვიტე, თორემ იქნება კარგებიც აგაყვანინო!

მელანია

(გაგრძელება იქნება)

დროშის ქვეშ

ი ს ისე ნაზად ირხეოდა ჰაერში ვით ცელქ ნიავით შეთრთოლებული ტბის ზედა-პირი. მას ისეთი მომჯადოებელი ფერი ჰქონდა, ვით. ჩამავალ მზის სხივით წითლად შეფერილ ღრუბლის ნაფლეთს.

და მაზე ისეთი გრძნობის წარმტაცი სიტყვები იყო ამოქარგული, ვით უმანკო ფიცით ჩურჩული ახალგაზრდა ასულისა.

ამაყად და მედიდურად ირხეოდა და ცახცახებდა ჰაერში ისე, ვით გაშლილი არწივის ფრთები.

ვიდქ და უცქეროდი. ოცნების ბურუსში ვიყავ გახვეული.

რამოდენი ხანია ველოდი მის ხილვას... რამოდენი სულის მქენჯნავი ფიქრები ამოცურებულა გულის სიღრმიდან ვის მოლოდინში.

და ასე უეცრად მოულოდნელად.

რამოდენი ტანჯვა-წვალება გამოვლია მის ძიებაში და ნუ თუ ეს წმიდათა წმიდა ჰქანაობს ეხლა ჰაერის სივრცეში ვით იალქანი?

და სად ვარ მე ეხლა მითხარით: სიზმარია ყოველივე ეს, თუ ტკბილი ზღაპარი?

მითხარით მართლა ამოვიკითხე მე მაზე ამოქარგული სიტყვები „მიწა და თავისუფლება“, რომელსაც ამოდენ ხანს საიდუმლო მწუხრის ლოცვაში თუ წარმოსთქვამდენ ჩემი ბაგენი.

ჰაუ მეგობრებო! სადა ვართ ჩვენ ეხლა, სადღაც უცხო შორეულ მხარეში თუ ჩვენს მრავალ ტანჯულ საქართველოში? . . . .

. . . . . .

და აი მოხველი შენ და წყნარად ჩამჩურჩულე:

— გახსოვს?

— რა?

— ისე ჟინიან ვნებით ვერავის მივაპყრობ თვალს, როგორც შენ ჩემო სიცოცხლეო? ეხლა კი სდგეხარ აქ და შესცქერიხარ დროშას ისე, ვით მოგვი წმიდა საკურთხეველს.

— დიახ! ხედავ რა თვალწარმტაცი და მომხიბვლელია.

როგორც მოსიყვარულე დედა მიიყვანს ხატის წინ თვის პირმშოს და ეტყვის: „ემთხვიე შვილო“. იმ რიგადვე მოკრძალებით მიუახლოვდით ჩვენ მას და შენი უმანკო ტუჩები მოკრძალებით ეამბორა წმიდა დროშის ტარს და მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვი ფიცი:

— ჩემს სიყმაწვილეს, ჩემს ქალწულებას მსხვერპლად ვწირავ შენს წმიდა საკურთხეველს.

და აღსრულდა..

დამერწმუნე! ამის შემდეგ ისე ჟინიან და უმანკო ვნებით ვერავის მივაპყრობ თვალებს, როგორც შენ ჩემო სიცოცხლე.

მიხ. ბოლოტაშვილი

ვედრება

როს გაიგონო მგოსნის სიკვდილი,
მოკვდა, განშორდა, საწუთრო მხარეს,
გთხოვ შემისრულო მცირე წადილი,
გულ-ხელ დაკრეფილს, საფლავს მდებარეს:
მონახე ჩემი უმწეო ბინა,
ააქვითინე მთრთოლვარე ჩანგი,
და სიმფონიად გულს დამაფრქვიე
უკანასკნელად ციური ჰანგი.
ძვალი ვერ იგრძნობს, მაგრამ ტანჯულ სულს
მფარველ ნუგეშად მოევლინება
და ეულს ზეცის წიაღზე ობლათ
მზის ახლო მშვიდათ მიეძინება!..

დარია ახვლედიანიანი.

მომღერალი სამეფო.

ზღაპარი.

ქვეყნის მაშვენებელ გულ-მოღებულ ლაჟვარდ ცის ქვეშ იყო სამეფო: პატარა, კოხტა, ედემის შესადარი.

საზღაპრო ტკბილ ზმანებისამებრ იყო ის გაშენებული ორ დიდ ზღვას შუა: თვალთ წარმტაც აჭრილ-ატეხილი მთებით, ზურმუხტის ფერ შემოსილი ტყეებით, ვარდ-ყვავილებით მოჭარგულ ველ-მინდვრებით და საოცნებოდ მოჩუხჩუხე-მორაკრაკე წყაროთ-ნაკადულებით. დღე და ღამ მზე, მთვარე, ვარსკვლავთ სხივებით იყო ის გაშუქებული, ვით ღვთაება, და იყო მშვენიერი დაუსრულებელი მშვენებით.

სამეფოს იადონები გამუდმებით დამღეროდნენ თავს ბაღჩა-ბაღნარებში და როგორც მიჯნურნი თავიანთ სატრფოს, დაუცხრომელის ენით უგალობდნენ მკვიდრი სამეფოს ქებათა-ქებას.

მისი მშვენიერებით ნიავიც-კი ჰხარობდა, ლაღობდა, სისინებდა. ხის ფოთლებიც-კი მღეროდენ, მშრიალებდნენ, ცახცახებდნენ, საიდუმლოებრივ გამოთქმულ სიხარულს სამეფოსადმი ნიავთან ერთად ისიც მთელ არემარეს ამცნობდნენ.

საზღაპრო იყო სამეფო.

ზღაპრულ სამეფოში რა არ ჰხარობდა? ხანდახან ღამობით მისი მშვენიერებით მეტისცქერით ვარსკვლავები, მოხიბლულნი, თითქო მთვრალნი ძირს სცვივოდნენ. ველ-მინდვრებში, ყვავილებში, ნამთ ცრემლებში იხნ რჩვებოდნენ.

მომღერალ სამეფოში ერიც მხიარული იყო. ერს უყვარდა სამშობლო. იცავდა. სხვათა სამშობლოზე თვალი არ რჩებოდა. არ ართმევდა სხვას სამშობლოს. არც თავისას უთმობდა სხვას.

დიდ-ხანს იყო სამეფო დაცული თავის ერისაგან. თითქმის უხსოვარ დროიდან. მაგრამ ერთხელ მომღერალ სამეფოს ბედი სხვაფერ დაბრუნდა.

ეი, როგორ მოხდა ეს.

ჩდილო სახემწიფოში კერპი იყო გამეფებული: მრისხანე, კაცთ შეუბრალებელი, რომელსაც თავის სისასტიკით მთელი მსოფლიო დამონებული ჰყავდა, მისი არსებობისათვის საჭირო იყო მონათა მსხვერპლები. ყოველ ცისმარე დღე ათასობით იწირებოდა ხალხი. კერპის სიარულზე დედა-მიწას ზანზარი გაჰქონდა. მის ფეხის ნატერფალს სისხლის ღვართქაფი ვარდებოდა. მისი სასახლე ადამიანთა ხროვ-ძვლებით იყო ანაშენი, ხოლო კარ-ფანჯრები სისხლში ნაღებ დროშებით გაჩირაღდნებული. მის ბაღებში აუზებიდან ადამიანთა ცხელი სისხლის შადრევნებში ასხამდნენ. მთელი ჩრდილო სისხლის მორევში ტივტივებდა.

ამ კერპს ჰყავდა ერთი ძლიერი ორთავიანი არწივი, რომელიც ფრენის დროს თვის უზარ-მაზარის ფრთებით მთელ ცის სივრცეს არბევდა და არეკილ შავ-ღრუბლებით ქვეყნებს უკუნი ღამით ჰბურავდა.

ამ კერპმა ორთავიანი არწივი ბოლოს მომღერალ სამეფოში გადმოაფრინა. არწივის ფრთების ბგერამ ჩრდილოეთიდან შავ ღრუბლებში შემორეკა და მთელი სამეფო დააბნელა.

დაბნელდა მზე, მთვარე, ვარსკვლავები. გაჰქრა ნათელი. სულთა-მხუთავი სიბნელე გამეფდა. სიცივე. ყინვა. მწვანე წალკოტში ვარ-ყვავილები დათრთვილა წყაროთ-ნაკადულები გაყინა ხის ფოთლები გაიკრიკენ. სადღაც ნიავი ორმოში ჩაწვა. ბულბულები მიიმალნენ. ქვეყანა კვდარს დაემგზავსა. შესწყდა სიცოცხლე ყოველი მოძრაობა, სიბნელესა და სიცივეს უჩვეევი ხალხი ატირდა, დაიწყო ძახილი: სინათლე, სითბო, სიმართლეო, მაგრამ მათი ვის ესმოდა? მათი მოთქმა-გოდება ცის ყრუ სივრცეში იკარგებოდა.

აგრე გაგრძელდა დიდ-ხანს. საუკუნეზე მეტი ითმინა შეუჩვეველმა ხალხმა სხვათა მონობაში. და სულ ბოლოს მოულოდნელათ რაღაც განგებით მონობასაც ბოლო მოეღო

ერთ სანატრელ დღეს წყვდიადით მოცულ ცის ტატნობზე ელვის ცეცხლის რკალმა გაიარა. ცეცხლს მოჰყვა ჭექა-ქუხილი. ცის მიდამო ცეცხლით ნაჭერ იარებით აჭრელდა გახშირდა ელვა-ჭექა, ქუხილი. ხილული გამოცანას დაემსგავსა, ამავე დროს ამოვარდა საშინელი ქარი, შეუერთდა ცის ჯოჯოხეთ-

თურ საზარელ ხმას და ადოსნური სისწრაფით მოჰყვა შავი ღრუბლების გვას ცაზედ. წაყინებულ ცა-ქვეყნის ბძოლაში ელვის უზარმაზარი ნაპერწკალი მოსწყდა. ანთებული შურდულივით გადაეშვა ჩრდილოეთით, დაეცა კერპის სასახლეს, დააქცია კერპის საბრძანებელი, დაამხო ტახტი და ყოველივე მტვრად აქცია.

ტახტიდან ჩამოვარდნილი უძლეველი კერპი თავის არწივით ცოცხალ-მკვდარი დაემხნენ ძირს და სამუდამოდ დამარცხდნენ.

რა გაიგო ხალხმა ეს ამბავი, გახარებული აიყარა ხელ-ფეხზედ ბორკილ-ხუნდები და დამარცხებული ბოროტების კერპის დამიწსამარებელად გამოილაშქრა.

დიდ ხანს გაგრძელდა ცა-ქვეყნის ბრძოლა ბოროტი კერპისადმი. ბოლოს, რა-კი კერპის არსებობა და ძალ-მომრეობა მოისპო ქარი, ჰექა ქუხილი შესწყდა. ხალხი დაცხრა ცამ პირი გადაიწმინდა და ჩვეულებრივ ნისლ არეკილ ცის ტატნობზე ნათელმა მზემ კვლავ შამოსცინეს ქვეყანას, განათლდა, გათბა, გამოცოცხლდა ქვეყანა ცაში მერცხალმა გაიფრთხიალა, გაზაფხულდაო დაიჭიკჭიკა. შეიქნა ბუნების მეჯლისი, ხალხთა ზეიმი, საერო მხიარულება.

ამ საერთო ქვეყნის გამობრუნებაში, მომდერალ სამეფოს ცის ეთერთა სამფლბელოში გამოჩნდა აროდეს თვალთნახული უმშვენიერესი ტახტი. ტახტი ოცნების, ხელთ-უთქმნელი მზე-მთვარე-ვარსკვლავთ სხივთ შენათხზი, მტრედის ფერ ღრუბლების კამარით. თეთრ ქულა ღრუბლებისვე ანაჭერ მარმარილოს საფეხურებით და დაეშვა მწვანე წალკოტში ვინმე გმირი ქალის სახით. ის იყო ბუმბერაზ ტანის, ხოლო ფერმიხდილი, სასომილეულ შეხედულობის, წელზევით შიშველი იყო ის გულ-მკერდი დახოკილ-დაკაწრული ჰქონდა გოლიათის მხარ-ბეჭს, ჯეირანივით მოღერილ ყელს უფარავდა ისრებივით დაშლილი გრძელი თმა; ხელებგაშლილი, შეკერვებული ვდგა ის ოცნების კვარცხლბეკზე და მდულარე ცრემლთა ფრქვევით შეჰყურებდა გარეშემო გამარჯვებულ ერს. ხალხიც მას უცქეროდა, განცვიფრებული. იყო დუმილი. როგორც მოჩვენება, არც ხალხი ამბობდა რასმე. კარგ ხანს უცქირეს ერთმანეთს ხალხმა და მოჩვენებამ. ბოლოს ხმა თვით მოჩვენებამ აღიმაღლა და მოუწოდა განცვიფრებულ ერს:

ხალხნო, სთქვა მან, — რად მიცქერით განცვიფრებული? ვერ მიცანით ვინა ვარ? ვეღარც თქვენ გიცანით მე. არც თქვენა ხართ —ის, რაც იყავით ას ჩვიდმეტი წლის წინად. ყველაფრით გამოცვლილი ხართ: ენით, ზნით, ჩვეულებით. არა მარტო მე, თქვენ ერთმანეთსაც ვეღარ ჭცნობთ, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ თქვენის ნახვით. ისმინეთ ჩემი: მე ვარ საქართველო, დღემდის ტყვე, მონა. მხოლოდ დღეიდან ტყვეობიდან გამოსული. შეხედეთ ჩვენს დასისხლიანებულ გულ-მკერდს. დაიარებულ სახეს, გათეთრებულ თმას. რა მომცა ტყვეობამ, მონა-მორჩილებამ?.. უფლება, ნამუსი, საკუთარი თვით-მართველობა აჰხადეს, მიწასთან გამასწორეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, სული მაინც შეძრჩა და თქვენ ჩვეულებრივ ჩემს წიაღში გხედავ. თ ღარ არის ორთავიანი არწივი, აღარ არის უძლეველი კერპი. დამარცხდა მტარვალი. ცამ შუბლი გაიხსნა, ნისლი გადიყარა. შეჰხედეთ ახალ მზეს! გაზაფხულდა. დღეს მზე ყველგან ერთნაირად ანათებს, მაგრამ გახსოვდეთ, მე ჯერ მთლად თავისუფალი არა ვარ.

ეხლა შინაური მტრები მყვანან. თქვენც ბევრნი ხართ ჩემი მტერნი. გთხოვთ, შეერთდით! ჩაჰკიდეთ ხელი ერთმანეთს და მიხსენით მე. მოდით ახლო ჩემთან, ამომიდექით მხრებში. მშობლიური ალერსით დამიამეთ ტკივილები და ტანჯულ მშობელს ამით შემიშვრეთ თვალებზე მონაწური ცრემლები.

სთქვა ცრემლთა ფრქვევით. რა გაათავა, მრავალწამებულ შუბლზედ ზეციდან გვირგვინი დაადგა. ცის ფერადი ღრუბლები სამოთხის ფრად გარშემო შემოექარგა. ცისარტყელას შვიდი ფერი ხვეულ კონებად შემოევლო ოცნების ტახტს. ხოლო საფეხურებს ტახტისას ცის კამარიდან მოხსნილი ფიანდაზი დაეფინა. გაბრწყინდა სასწაული კვარცხლბეკზე მდგომარე-სიმბოლო საქართველოსი და გაელვარ-გაშუქნარდა მის გარშემო წალკოტი.

ხალხმა იცნო მოჩვენება, მამაპაპურის

გადმოცემით მოიგონა თავის წარსული. შეიყვარა ის. გაიხარაო, სად იყო—სად არა, აღტაცებული შეგროვდა ტახტის წინ. ვინც მიასწრო ეამბორა მოწიწებით სიმბოლოს. ვინც ვერ მიაღწია ხალხის სიმრავლის გამო, შორიდან სცა თაყვანი და აღუთქვა ერთგულება. სხვებმა სიხარულით მეჯლისი, მხიარულება გამართეს მის აღდგენაზე.

მოისმა ყოველ მხრიდან სიმღერა. დაჰკრეს ნაღარას. ააკვნესეს ზურნა, დაფდაფი ჩამოჰკრეს ჩანგს, ჩანგურს, ქამანჩას. გაისმა აღდგენილ სამეფოში ეროვნული სიმღერა მამაჰაპური,

მსოფლიო ზეიმზე მზემ უფრო გააშუქა გათბა ბუნება. კვლავ გაიფურჩქნა ტყე, მინდორ-ველი. ვარდ-ყვავილებით ისე ისევ შეიმკო გარემო, კვლავ ახმაურდა, არაკრაკდ. წყარო ნაკადულები. აშრიალდა, ალივლივდა შუბლგახსნილი ტყე, მთები. ნიავმა გაისისინა. ასტვინდნენ ბულბულები. ქვეყნის დღესასწაული ერთ დამატკბობელ ჰარმონიად წარმოდინდა და გაისმა ყოველ კუთხიდან დაუსრულებელი, საამო ხმა, მომღერალ სამეფოში.

ეგგენი ფურცხვანიძე

ქართველი ქალი

ანასტასია მაჩაბლისა

ქალო, მზე ამომიბრწყინდა,
შენ მოუძღოდი წინაო!

ვინც დაუავიწყარ ივანე მაჩაბლის მეუღლეს ანასტასიას, უფრო მკაფიოდ—ტასოს, იცნობდა, ან ერთხელ მაინც უნახავს რაიმე საზოგადო საქმეში, ზემორე მოყვანილი სიტყვებიც მოაგონდება.

ქართლის ცნობილი ოჯახის ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული და არა ნაკლებ ცნობილ ოჯახის—მაჩაბლიანთ რძალი, ძლიერ ადრე ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დ შეიძლება იმოდენა მღელვარება, იმოდენა გრძნობათა განცდა არავის გარდაეტანოს, რამდენიც ტასოს.

ყველას ეხსომება ილიასი და ვანოს შეჯახება ბანკობიას გარშემო.

90-იან წლებში ამ ბანკობიას ირგვლივ ერთი გაუთავებელი შეხლა-შემოხლა იყო და მის მთავარი მონაწილის—ივანე მაჩაბლის მეუღლე ტასოც ძალა-უნებურად განიცდიდა იმ სულიერ ღელვას, რაიც მაშინ მის მეუღლეს ფლობდა

მაგრამ ყოველივე ის ქართველი ქალის კუთვნილ ხასიათის სიტმკიცით გარდატანა...

ბედმა უფრო სასტიკად დასაჯა ტასო.

ყველას მოეხსენება, რომ 1898 წ. უგზოუკვლოდ დაიკარგა მისი დაუფასებელი მეუღლე, ჩვენი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი (შექსპირისა) ივანე მაჩაბელი.

ოჯახის ასეთი დანაკლისი განა რომ თავზარს დასცემდა მუდამ მოყვარულ მეუღლეს, მაგრამ მან ოჯახური უბედურება—დაუდეველი ტრაგედია სულისა გულშივე დაიმარხა და საზოგადოებრივ საქმეთა ჩუმ სამსახურში ჰსვამდა თვის კერძო გამწარების ფიალას...

ქართული თეატრი, წ. კ. ს., სახალხო თეატრი, სხვა და სხვა საზოგადო-საგამნათლებლო დაწესებულებანი,—სად არ გინდათ, რომ ტასო არ მონაწილეობდა, როგორც ბეჯითი, მუყაითი და დაუზარელი დედა—დიასახლისი.

მერე ასეთი მორიდებული, მოკრძალე და თავის თავზე უყვირალი...

ჩვენი საზოგადო საქმე მარტო ლაპარაკითა და ჰაიჰუით არა კეთდება: მადდიანობა, სითბო, ნამდვილი კეთილშობილური მოკაძალეგული და სიყვარულია საჭირო...

და ეს იყო ტასო.

მშობელი ერის აღორძინების მონატრე, მისი წარმატებისთვის მზრუნველი, ნამდვილი ქართველი ქალი—მამულიშვილი, წოდებით, სულით არისტოკრატი, შეგნებით დემოკრატი, —აი, ტასო მაჩაბლისა...

საზოგადო საქმის სამსახურში არც ოჯახი დაივიწყა და უდროოდ დაობლებული ბავშვები—ქალ-ვაჟი გზაზე დააყენა.

ჩვენი საზოგადოებისთვის ტასოს სიკვდილი თვალსაჩინო დანაკლისია, მით უმეტეს რომ იგი ჯერ შუახანს ძლივს იქნებოდა მიხწეული და კიდევ კარგა ხანს შეეძლო ჩვენი საზოგადოების სამსახური...

ნუმც გაჭირება ივანე და ტასო მაჩაბელთა ხსენება მათ საყვარელ სამშობლოში!

იოსებ არიმათიელი.

ბრაბ. ჩერთ. მსრბოდელია ბოლკის
გრიგოლ (გრიშა) სილიბისტროს ძე
გოცირიძე
მოკლულ იქმნა ამა წლის ივნისის 7 ქ.
სერდეშტის ადგილის დროს სპარსეთში.

„მესაფლავე" *)

მეოდრამა სამ ტოტად სურათად.

მონაწილენი პირნი

1) **მესაფლავენი 1 და 2**
2) **მგოსანი**
3) **ქალი**
4) **ვაჟი**
5) **კუბოს შეუოფლენი**

სურათი პირველი

ეკლესიის ეზო გადაკეთ შემოგლებულია. მარცხნივ სოფრეში ეკლესიის გუმბათი მოსჩანს. ეზოში აქ-იქ სასაფლაოები. მაისია... ზოგი სასაფლაო ყვავილით არის მოტეული, ზოგი ბალახით. მარჯვნივ სასაფლაო; ზედ დიდი და თეთრი ჯვარი; ჯვარის ძირში ყვავილები. ამ სასაფლაოს მარცხნივ გათხრილი სამარე... შუაზე ყვავილებში ანგელოზის ქანდაკების შადრევანი. ეკლესიიდან ისმის სამწუხარო საგალობელი. ფარდა რო ახდება, მესაფლავენი სოფლაკის თხრას თავს ანებებენ და ერთი გადაკეთში გადის... მეორე ბარს დაეყრდნობა. სახე მრისხანე, დამცინავი და შეუბრალებელი აქვს. იქვე სდგას მგოსანი, უიმედო ბმუნვარე სახის, გაშტერებით დასტქერის სასაფლაოს...

მესაფლავე (სარკაზმული დიმილით)

ეგრე არის სამართალი—ქვეყანაზე ვინც კი კვდება
იმ წუთშივე, მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება..
(შადრევანის აქეთ მიდის, მგოსანიც წამოვა—ამოიოხრებს)

მგოსანი. მესაფლავე, შენ ამბობ რომ ქვეყანაზე ვინც-კიკვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?..
(მესაფლავე, ნაშუალ თანხმობის დაცინვით თავს დაუქნევს).
ეჰ არ მჯერა, მე ეგ რადაც. მომაბეზრე კიდეც თავი,
და შესწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.
(ამ დროს შემოსულა ქვრივი, შეტად დამაზი; შავშია, ომა-გაშლილი სასაფლაოს ესვეგ და უსიტყვოდ სტირის).
ვერა ხედავ, იმ საფლავზე როგორ ტირის ობლად ქვრივი?..
რა რიგ შვენის ახალგაზრდას ეგე სევდა ღვთაებრივი!
განა გუშინ არ იყო, რომ ამ მოკლულმა დარდით ქალმა,.
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო ცივ სამარეს მიესალმა?
დღესაც იგი ამ სამარეს გულმოკლული დაჰქვითინებს,

*) გ. ტაბიძის ლექსიდან.

დღით არ იცის მოსვენება და ღამითაც არ იძინებს...
მოვა ხოლმე და დაჯდება ცივ სამარის გაშლილ ქვაზე..
დარდით არის გაჟღენთილი მისი უღვთო სილამაზე...
თმა გაშლილი დაჟმხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა..
სულს მიშფოთებს ეგ ქვითინი, გული მტკივა, გული მტკივა...
მაგრამ რა ვქნა?... მესაფლავევ ჩუმად იყავ, უგდე ყური..
გესმის? გესმის როგორ კვნესის დაღლილი და უბედური?
(ისმის სკრიპკა. გაღობა. ქალი გულამოსკვნით ქვითინებს)

ქალი. გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალ არეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო..

(მგოსანი სასოწარკვეთილებაში, მესაფლა-
ვეს ნიშნის მოგებით გადახედავს. მესაფლავე
არაფრად აგდებს ამ სურათს, ის ჩვეულებრივად
არის. ქალი გადის... მგოსანი ეუბნება მესაფლავეს)

მგოსანი. მესაფლავე კიდევ იტყვი, რო ამ ქვეყნად ვინცა კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
(ამ დროს მეორე მესაფლავე გალავნის
კარებს აღებს.. შემოაქვთ კუბო.. უკან დაღ-
ვრემილი მტირალი ვაჟი მოჰყვება კუბოს.
კუბოში მიცვალებული ყვავილებში. კუბოს გარ-
შემო სასაფლაოთან დგამენ შემომტანნი გა-
დიან. როცა შემოაქვთ მგოსანი ამბობს)
აი, თუნდაც გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს,
ახალგაზრდა ვაჟი ვინმე კიდევ სატრფოს ასამარებს...
(ვაჟი კუბოს ეხვევა და სტირის უსიტყვოდ).

გულმოკლული ძვირფას კუბოს არ შორდება, არ სცილდება,
განა როსმე სხვა ამ გვარი სიყვარული მეორდება?
უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება,
და გადმოსჩქებს გულ-მოკლულ ვაჟს თვალთგან ცრე-
მლთა მდუღარება.
ფიცით ამბობს,.. (ვაჟი სტირის. სკრიპკა)

ვაჟი. ოჰ, შეშფოთდეს სამარეში ჩემი ძვლები,
არ ათბობდეს ჩემს სამარეს გაზაფხულის მზის სხივები,
გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება,
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,
შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო
ვაჟი ცრემლის ფრქვევით გადაეხვევა კუბოს...)

მგოსანი (აღელვებული, ნიშნის მოგებით ეუბნება მესაფლავეს)
მესაფლავევ, კიდევ იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

ფარდა

სურათი მეორე.

ისევ ის ადგილი. გათხრილი სამარე გვერ-
სწორებულია. ზედ დიდი დევს. საფლავი ყვა-
ვილებშია., ისმის სალმური.

მესაფლავე. ხა-ხა-ხა-ხა! მე ვამბობ რომ ქვეყანაზე
ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება.

მგოსანი (ბრაზ მორეული)

მესაფლავეევ, ნუ, ნუ ამბობ რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
(გაიხედავს)
ის ქალი კი, შეხე, შეხე, ისევ მოდის თმაგაშლილი,
და სამარეს დაუვიწყარს თავს ადგება, ვით ჩრდილი,
შემოდის ქალი. ხელში ვარდის კონა უჭირავს... დიდს ეამბო-
რება)
ხელით ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭკნარი,
მოაქვს რო მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი...
(ქალი ვარდს ჯვარზედ ჩაიდებს. მესაფლავე და მგოსანი
შორეულ ადგილზე ადგებიან, ქალის მოფარებით)
ოჰ! ეს ქალი, ალბად დარდით ყვავილივით ჭკნება, ჭკნება,
სევდას სახე დაუფარავს და სიყვითლე ეპარება.
საცოდავი! თვალებსაც კი დასჩნევია უძილობა,
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა.
(შემოდის ვაჟი დიდგრემიდი, მასაც ვარდის
კონა უჭირავს. სატრფოს საფლავს ეამბორება.
ქალიც და ვაჟიც სასაფლაოს ბალახებს ადგის.)
მესაფლავეევ, კიდე იტყვი, რომ ამ ქვეყნად ვინც კი კვდება
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?..
(დაინახავს ვაჟს)
და ის ვაჟიც, გუშინწინ რომ მიაბარა სატრფო საფლავს,
არ ცილდება სასაფლაოს, სევდიანს და გულმოსაკლავს.
სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება,
თავს დასცქერის დაუვიწყარს, გლოვის სიტყვას ეუბნება...
მის თვალებსაც დასჩნევია ღამის თევა, უძილობა,
ასე ხდება, როცა ღამით მოგონებებს იწვევს გრძნობა...
მესაფლავეევ ახლაც იტყვი რომ ქვეყნად ვინც კი კვდება,
იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?
ქალი. (გადახედავს ვაჟს. ამას შესწრობს **ოვალს** **მგოსანი**
და **მესაფლავე.** ქალი ამბობს თავისთვის).
ჩემებრ სტირის იგი ვაჟიც... უძიროა კაცის გული..
რას არ ითმენს სიყვარულის ცხოველ ნათელს მოკლებული.
(**მესაფლავე ნიშნის მოგებით და დატინვით შესედავს** **მგოსანს**)

მგოსანი. ასე ამბობს სევდიანი ქალის ცისფერ თვალთა ცქერა..
ალბათ ვაჟსა ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა...
ასე იცის თანაგრძნობამ.(მესაფლავეებს) შენ კი ისე ადამები,
თითქოს მართლა იბმებოდეს იმათ შორის ის სიმები
რომლის ძალით ორი გული სამუდამოდ შეერთდება.
ეჰ, არ მჯერა, მე ეგ რალაც... ქვეყნად ასე როდი ხდება..
როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ.ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.
გამიგონე მესაფლავევ, შენ არ იცი კაცის დარდი,
(მესაფლავე ხარხარებს]
თორემ რაა ჩემს თქმაზე რომ სულელივით ახარხარდი?
(ვაჟი ქალს გარდის კონას აძლევს. ესენი დაინახავენ ამას.
მესაფლავე მისებურად დასცინებს მგოსანს)
რა უყოთ რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი?
მესაფლ. (გესლიანი დამიდით ანიშნებს)შეხე ქალს რას ეუბნება?
ვაჟი. (ქალს ალერსიანად) შემიყვარდი, შემიყვარდი.
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, შევაერთოდ სულთან სული.
გამომყევი ცოლად, ქალო, ძლიერი მაქვს სიყვარული.
მართალია, ის სატრფო არც შენ არც მე ალარა გვყავს,
მაგრამ მათი მოგონება ვერ გაარღვევს უხმო საფლავს...
დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი სავალალო
და ახალი ყოფა შევქნათ—გამომყევი ცოლად ქალო...
მზოსანი (განცვიფრებულია.მესაფლავე ხარხარებს.მგოსანს დასცინის) დაუცადე, მესაფლავევ, თუ რა პასუხს მისცემს ქალი,
შენ გგონია რაკი ვაჟმა დაივიწყა თავის ვალი,
ქალიც აგრე მოიქცევა?.. მე მგონია არა,არა!...
განა გუშინ არ იყო რომ სატრფო მიწას მიაბარა?
მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილითან ვინ იხუმრებს?
აბა, ნახავ—აბეზარ ვაჟს რა პასუხით გაისტუმრებს..
(ამ დროს ქალი გადაიხრის ვაჟისკენ და ეჩურჩულება).
მესაფლავე (ხარხარით ნიშნის მოგებით ეუბნება მგოსანს-ს ჰე' შეხე, ქალი შენი. მორცხვად თავს ხრის, უჩურჩულებს.
ქალი თანახმა ვარ!ერთად ერთი მომავალი მასულდგმულებს
ჩვენ ერთი გვაქს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს
მე შენი ვარ სამუდამოდ, წამიყვანე სადაცა გსურს..
(ქალი და ვაჟი-ერთმანეთს ჩაეხვევიან.. აკოცებენ და კადიან).
მზოსანი. (ბრაზმორეული უცნაური ძალით წამოიერება.
მესაფლავე ხარხარებს და დაცინვით შეტქვრის მგოსანს
მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს,
კვლავ იგი სთქვა;
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა
ფარდა.

სურათი მესამე

ისევ ის სცენა. ეკალეული ჩამწკნარა და
სასაფლაო ბალახებით არის გადაფარული..მოკლე
ხასაფლაოს ახლოს სდგას ორი გადაკვრეხლილი
ეკალი... სალამოა... მკვდრის სიხუმეს სალამუ-
რის და სკრიპეკის მწუსარე ბგერა არღვევს.

ფარდა ეხდება... ბალერთვეგა ეკდესიიდან სიმღერა საგალობელი „სულთანია... შემდეგ შემოდის მგოსანი. სასაფლაოებს კიდესდგან და მეტად დამწუხრდება.

მგოსანი. ადგით ქალ-ვაჟნ დღეს ერთი აქვს ბინა...
ჩადგ კიდის ხანი.

სასაფლაოს არ ნახულობს დღეს არც ერთი იმათგანი. საფლავიდან მტვერს და ბალახს დღეს არც ერთი არ აცილებს. და მოვლასთან ერთად ფერი წართმევიათ ვარდ-ყვავილებს.

განისვენეთ, ძლიერი და უკვდავია თქვენი ძილი,
რაღათ უნდათ რათ სჭირიათ თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?
ან რას გარგებთ მომაკვდავ კაცთ სამუდამოთ ცრემლთა ფრქვევა.

ძალით ვერა გამოარკვევთ, ვერრა ძალა ვერც შემთხვევა..,
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულთ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...
ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება.
და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწყდება.

(მეშოდის მესაფლავე და მოამდიმარი კუბოების ქედგან დაიწყებს... ისმის ზარების რეკა..
მუსიკა თანდათან დედდება).

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ დავიწყეს ბედი მწვავე.

(მესაფლავე იდიმებს)

იმ ორს ერთად გადავერცხლილ კუბოში სჭედს მესაფლავე.
სჭედს და რაღაც მწარე ფიქრზე თან ველურად იღიმება...
იცის, იცის მესაფლავემ, როგორც უნდა, როგორც ხდება.
განისვენეთ, განისვენეთ დავიწყებულთ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფაში მე ბევრი მაქვს მწუხარე ჟამს საოცნებო...

მესაფლავე (გულმოდგინეთ ხარხარებს თანაც მხიარულთ სჭედს კუბოებს)

ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა ქვეყანაზე ვინცკი კვდება,
მისი ჩრდილი იმ წუთშივე ყველა ჩვენგანს ავიწყდება..

მგოსანი (ნიშნად თანხმობისა თავს უკრავს)

მართალი ხარ, მესაფლავევ, ქვეყაზედ ვინცკი ვდება,
იმ წუთშივე მისი ხსოვნა ყველა ჩვენგანს ავიწყდ ა...

ფარდა.

დასასრული

ი. ხინველი

„ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მღელვარნი“

V

(გაგრძელება, იხ. „თ. ცხ.“ № 28

ნიკოლოზ ბარათაშვილის კოსმიური-მისტიკური გრძნობა.

ნ. ბარათაშვილის „ფიქრი სანატრი“ ცის ქედს რომ მიიწვევს, რათა ეშხით დამთვრალი შეერთდეს ლურჯსა ფერსა—ამხელს მასში მისტიკს-მეტაფიზიკს.

ეს სახელი მას ეწოდება, ვინც ხილულს იქით უხილავს სკვრეტს, წარმავალს იქით სამარადისოს და საააქაოს იქით საიქიოს განიგულებს.

მეტაფიზიკვისთვის ეს ხილული ქვეყანა თეატრია ცვალებადი დეკორაციებით და მსახიობებით. ხილული რეალობა საიდუმლო ძალთა და არსთა გამომეტყველება-განხორციელებაა. როგორც მსახიობი სცენაზედ ასახიერებს სასცენო როლს დროებით, ისე ხილული რეალობა დროებით გამომეტყველებაა—სამარადისო ძალთა.

ამ აზრს ბარათაშვილი გამოსთქვამს ლექსში „ჩინარი“.

ამ ლექსში მტკვარი, ნიავი და ჩინარი პოეტმა გააცოცხლა და გააპიროვნა. სული ჩაუდგა, გრძნობით აღელვა, ვნებით გული აღუვსო. იგინი თავისებურათ ურთიერთობენ: ჰყვარობენ, სძულობენ რაყიფობენ. ერთი სიტყვით უხილავ რეალობათა მატარებელნი მსახიობნი არიან:

„მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი,
და შრიალითა არხევს ჩინარსა,
და კამოსტემენ სახიობასა
ტკბილის ოცნებით დამძინარსა.
მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო
უსასოთაც და უსუდთ შორის
და შეხოვედეს სვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათის საუბრის.

მტკვარი მიჯნურია ამაყი ჩინარისა,
შესტრფის მას ლამალერსმბა.

„ვითა მიჯნური ხატრფოს ამაყსა
მტკვარი მის (ჩინრის) ფერხთა ნორჩოთ
ეგლებს.
და ადმოარხევს უფსკრულიანსა,
და ალეკვიდი კლდეთა ესლება.
მხოლოდ ჩინარი, მარად მჩინარი
სდგას მედიდურად და სიამაყით
და მხოლოდ თავსა კარდმო-კიდიხდის
სევდიანისა შერხეგის სახით.

ჩინარი თავის გაქნევ-გამოქნევით უარს ეუბნება მტკვარს და თანაუგრძნობს მას ,ვინც მას აქანებს, ესე იგი ნიავ-ქარს.

ქარი მეორე მიჯნურია ჩინარისა, და მეტოქე-რაყიფი მტკვრისა. ესეც ეტრფის მას ეხვევა-არხევს. და მით შურს აღუძრავს მტკვარს: აშფოთებს, აკვნესებს:

„რაგდენჯერ ქარი შეარხევს სარჯს,
ამდენჯერ მტკვარი უმატებს ოხვრას
თითქოს სიშურით შეშფოთებულა
და კლდის ბერებზედ ზვირთთა შემუსრავს.

ამ ლექსში ბარათაშვილის სამიჯნურო გრძნობა მის კოსმიურ გრძნობაში გაილესა და ერთად შესხივებულმა მკვდარი ბუნება გააცოცხლა. ხილულ ნივთიერებაში უხილავი სული შთაბერა, სტიქიურნი ძალნი გააპიროვნა. აქ პოეტი პანთეისტათ მოსჩანს. მაგრამ თუ გვსურს შევიტყოთ პოეტის ნამდვილი მსოფლ-შეხედულება, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი მეორე ლექსი, რომელიც გამსჭვალულია კოსმიურივე გრძნობით და რომელშიაც ბარათაშვილი მოსჩანს როგორც მეტაფიზიკი, რადგან იქ პოეტს ბუნების მაწარმოებელი იდუმალი ძალი ცას იქით მიაჩნია. ეს არის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ აშკარათ სჩანს, რომ ბარათაშვილის მეტაფიზიკობა:

მართლადაც უბრალო მატერიალისტისათვის რა არის მთაწმინდაზედ შემოღამებაში სანუგეშო და დამატკბობელი? ნუ თუ „ადგილნი ვერანანი და უდაბურნი“ ანუ „კლდე ცრემლიანი“ ანუ ღელენი, რომელთა შორი-

საც სწარმოებს მმუსრველი ძალი სტიქიისა: შლის, ანგრევს და ნამუსვრებს ისვრის დაბლა ხევებში. მაგრამ ეს ნგრევა-ქცევის ხატება— ჩვენი პოეტი მისტიკისთვის შეიქმნა ნუგეშის წყაროთ და ჭირთ-მანელებლად: მთა წმინდა ცისკენ აღსასვლელ კიბეთ გარდაექცა.

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან სევდიანო,
ვინ შოგიხიდოს, რომე მეისვე თვისთა ფიქრთ შვებაარა იპოვოს და არ დასცინის გულსა ვებაა“.

იმ დროს სხვა ვინ იყო ბარათაშვილზედ უფრო გულ-დახურული და სულით ობოლი? ამისათვის უყვარდა პოეტს მთაწმინდა, რომელიც ეთანხმებოდა მის სულს, აკმაყოფილებდა მის გულის მეტაფიზიკურ წყურვილს და მოთხოვნილებას. ის საღამოობით ხშირად ადიოდა მთაწმინდის წვერზედ, შესცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილს და მრავალ საიდუმლოებათა მატარებელ ცას და განშორებული არსებულ რეალობას ამ „საძაგელ ქვეყანას“ შეცურდებოდა იდეალურ სამეფოში. ერთი ასეთი საღამო პოეტს გარდაექცა „ხილვის მთად“ იმ საღამოს უცხოველესად იგრძნო სიახლოვე ზესთა ძალთან, არა უბრალოთ იგრძნო, თითქმის გასჭვრიტა-იხილა იგი პირის პირ. ამ ხილვამ დაატკბო იგი უაღრესად. „ამა სიამით ნეტარებით ესრედ ადესებულს ეგონა ხედავს სასუფეველს აქ დაშენებულს“

ცხოველი მისტიკური განცდა ენით გამოუთქმელია, რადგან იგი ინტუიციის სამფლობელოს უფრო ეკუთვნის ვიდრე გონებით მისაწდომს. ვისაც თვით არ უგრძვნია ასეთი ექსტაზი, მას ვერაფერ საშუალებით ვერ გარდასცემთ სავსებით. ამიტომ ცხადია, რომ ბარათაშვილი სისრულით ვერ დახატავდა მაშინდელ ნაგრძნობ-ნაფიქრს. და ის, რაც პოეტმა გადმოგვცა მკრთალი აჩრდილი უნდა იყოს პოეტის რეალური განცდისა.

რავდენათაც კი ბარათაშვილმა შესძლო იმ საღმრთო წამის სიტყვებში შემოსვა პოეტს მსოფლიო წარმოუდგა, რთგორც ტაძარი ღვთისა, რომელშიაც ბუნება სადღესასწაულოთ მორთული ღვთის მსახურებას შესდგომია: ქვეყანა მსხვერპლს სწირავს ძალთა ძალას:

„ძირს გაშლილს დამაზს ველსა ეგვალინი
მოჭფენენ რეცა ტაბლას წმიდასა
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა
შენდა ადკმევენ სურნელებასა“

ყვავილთა საკმეველს ზე ასდევს პოეტის სულიც, იქ ზენაარს სავანეში ეძიებს თვის სადგურს:

მე შენსა მჯვრეტელს მაგიწყდება სანუთრება
გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს
ზენაარს სამყოფს რომ დასთმოს აქ ამოება“.

პოეტს, აღგზნებულს საიმქვეყნიო ტრფობით, და ფიქრით ცაში მონავარდეს უკვე კარგა შემოუღამდება:

„დაფიქრებული ვიდექ სერზედ,
და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხრის
ადმოსები ნაპრალთ მდუმარებითა.
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი
დელეთა შორის ადმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩემი შემოგარენი
ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ.

ბარათაშვილმა ცაშიაც ღვთის მსახურების სახე იხილა. მთვარეს ლოცვაში მიქანცებულ ყრმას მოაგონებდა პოეტს: სდუმდა ყოველი მუნ არემარე. ბინდი გადეკრა ცისა კამარას მოჰსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისსა ამარას გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო მხურვალე ლოცვით მიქანცებული? მას ჰგვანდა მთვარე ნაზად მოარე, დისკო გარდახდით შუქ მიბინდული! „ასეთი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება. მან წარუხოცელი კვალი დასტოვა პოეტის სულზედ:

„ჭოი ადგიდნო, მახსოვს, მახსოვს.
რასაც ვფიქრობდი მე თქვენთა შორის
და ან რასაც ადმოვიტუოდი,
მხოლოდ გული ჭკრძნობს,
თუ ვითარი სძდგენით მას შვება“.

ბარათაშვილის ფიქრები და ზრახვანი ცას დანახვაზედ ყოველთვის მარადიულ ქვეყნისკენ მიჰქრიან, თუმცა გონება ვერ თანამგზავრობს პოეტის გულის თქმას, რადგან „გლახ მოკვდავნი ვერ სცნობენ გინგებას ციურს“.

„ანტა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილავენ,
მუის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან
მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ
და ჭერშიგე კანიბნეგიან“

ამ მაგრმშია კვანძი იმ საშინელი დრამისა, რომელიც სწარმოებდა ბარათაშვილის სულში მის შემდეგ, რაც ეპვიანობის „ბოროტმა სულმა“ ჩაუნელა ცხოველი მისტიკური გრძნობა, და მოუკლა სარწმუნოება. მაგრამ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილი გონების თათბირს არ ემორჩილება, ეპვიანობას მის გულში ჯერ ფეხი ვერ მოუკიდნია. და მომავალ მზიან დღეს იმედით უცქერს:

„ჯი, სიდამოგ, მეუდრიგ სასმოგ
შენ დამშოი ჩემად სინუგეშებლად,
როს მეწმუნვარება შემომეხვევა
შენდა მოგიდტგი განსაქარგებლად,
მწუხრი გულისა, სევდა გულისა
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ კათუნდება დიდა მზიანი,
და ეოველს ბინდსა ის განანათლებს“.

დ. დეკანოზიშვილი

ქ. ბათომი — ს. ბარცხანა. 30 VII აქ ჯაყელის რეკისორობით წარმოადგიეს 3 პესა დივერტისმენტით: 1) „სიკვდილი ჩრდილოეთში.“ მიუხედავთ წვრილმან დეფექტებისა, მაგ, ზარის მაღალი და გამუდმებული რეკა, რომელიც კულისებში ავათმყოფის თავთან ეკიდა ცუდ შრაბეტდილებას სტოვებდა, კარგი იყო ბნი—ჯაყელი. არა უშავდარა ჭ. ფაზისელს. მხოლოდ ბატონმ ასათიანმა (პოლიციელი) ისეთ ძლიერ დრამის დრიოს, როდესაც მიცვალებული ასვენია, შემოვიდა, და ისეთი ყილოთი იკითხა გადმოსახლებულები, რომ მაყურებლებში სიცილი გამოიწვია; 2 „პრიკაზიკი შაფში“,-არა უშავდა. ჭ. ფაზისელმა ბევრი აცინა საზოგადოება. ბინა ჯაყელმა როლი არ იცოდა, 3) „მონადირე. ყველა თავის ალაგს იყო, ჯაყელი (უშეტინაძე) შეუდარებელი იყო. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, მაგრამ ისეთ დივერტისმენტს, ღმერთო, მეოხრეთ გვაშორე. აიხადა ფარდა, სცენაზედ გამოხტა ვიღაცა, დაიწყო თვალების ნაბვა პრაწვა, ხელების ქნევა, ხან აღმა ვითომდა გრიშაშვილს ჰბაძავდა როგორც კითხვაში ისე მიმიკაში ყველა მას დაამატეთ, რომ ლექსს ჟურნალიდან კითხულობდა, და თანაც ენა მოცვეთილი იყო. ცოტაოი საქმე გამოაკეთა ასათიანის სცენამა და ვადაეკორიას—„აკითხულ ლექსმა„ როინიშვილის ლექსი „ქალებს.“

Г. В—скій.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სასახლის ქუჩა
თავად-აზნ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „**კაფე პარიზს**“ საზაფხულოდ **აქვს ბაღი**, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება **საუზმის, სადილს** და **ვახშმის** მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაე საუკეთესო ღირსებისაა**

პატვისცემით სილ. გიგიბერია.

გამოვიდა და

ყველგან ისყიდება

ეგვნი დვალის

1) საგიყეში დაწერილი

სიმღერები

ფასი 40 კაპ.

2) მწარე სიმღერები

ფასი 30 კაპ.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

ოპერეტა—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ცსამშაბათი—საოჯახო სალამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმენ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

შაბ—საღ.

კვირა—რუსულიწარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

სტამბა „სორბანი“